



## დამოუკიდებელი ინსპექტორის

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 11 თებერვალი

დისციპლინური საქმე №203/19-2

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 5 დეკემბრის №203 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 11 დეკემბრის №505/203-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

#### 1. საჩივრის (საჩივრების) ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერებას ხდის სადავოდ.

#### 2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 3 მაისს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების - -- --, -- --, -- -- მიმართ სანოტარო აქტის ბათილად ცნობის, მესაკუთრედ აღიარების, თანხის გადახდის დავის რეზიუმის მოთხოვნით.

2017 წლის 4 მაისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ: აკრძალა -- -- მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივი დატვირთვა; აკრძალა -- -- მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივი დატვირთვა.

2017 წლის 3 აგვისტოს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2017 წლის 6 დეკემბერს -- -- შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

2017 წლის 8 დეკემბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღებაზე.

სასამართლო სხდომები გაიმართა 30.11.2017; 18.01.2018; 22.02.2018; 22.03.2018 წწ პერიოდებში.

2018 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 26 აპრილს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ითხოვა.

**2.2.** -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 14 მაისის განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ არ დაკმაყოფილდა და განესაზღვრა 7 დღის ვადა ხარვეზის შესავსებად.

2018 წლის 7 ივნისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული.

2018 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 15 ნოემბერს -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

**2.3.** საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 21 იანვრის განჩინებით -- -- წარმომადგენლის -- -- შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 7 დღის ვადა.

2019 წლის 4 თებერვლის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

2019 წლის 15 აპრილის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეჩერდა 6 თვის ვადით, მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე.

2019 წლის 15 ნოემბრის განჩინებით -- -- უფლებამონაცვლე -- -- საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის მიხედვით, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული დაგაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

აღნიშნული სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, მოსამართლემ განჩინება მიიღო მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, მოსამართლე -- -- მიმართ არ გამოიკვეთა 2019 წლის 5 დეკემბრის №203 საჩივარში მითითებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის და 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

დისციპლინურ საქმეზე №203-19-2 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**